მრავალ შობა-ახალ წელს!

„ჩინგუტი საქართველოა, სიმერი ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №23-24 (9565-66) ● 1-31 დეკემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

ჩემო თანაქალაქელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს

ბედნიერების, წარმატების, სიუხვის, კეთილდღეობის, გამთლიანების, მშვიდობისა და სიხარულის წელი დაგებედოთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

2023 წელს, ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში, მნიშვნელოვან წინსვლას მივაღწიეთ. ამ სიტყვების უტყუარობას არა მხოლოდ ციფრები, არამედ ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებიც მოწმობენ.

სოციალური პროგრამებით და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის სექტორების განვითარებით და ხელმისაწვდომობით, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისებით, ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი, შედეგზე ორიენტირებული გუნდური მუშაობით - გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები.

2023 წელს, ჩვენმა ქვეყანამ დამსახურებული სტატუსი მოიპოვა, რასაც კიდევ ერთხელ გილოცავთ.

წინ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე და პროექტი გველის. ერთად განვაახლოთ სენაკის მუნიციპალიტეტი! ჩვენი სლოგანიც ეს არის - ჩვენ, უკეთესი სენაკისთვის!

ბედნიერი 2024 დაგვებედოს!

ვახტანგ გადელია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო სენაკელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულსა და მატერიალურ კეთილდღეობას. მინდა, რომ ახალი 2024 წელი კიდევ უფრო მეტად წარმატებული და ნაყოფიერი, ჩვენი ქვეყნის გაძლიერების, ახალი მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზების წელი ყოფილიყოს.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, 2024 წელს ჩვენი პრიორიტეტი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება, მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება, რომელთა მეშვეობითაც, სენაკი უფრო განვითარებული და კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი იქნება, ამასთან უმთავრეს ამოცანად ვისახავთ უკეთეს ჯანდაცვას, სოციალურ უზრუნველყოფასა და განათლებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდთან ერთად მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ სენაკის მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარების საქმეში. მჯერა, ჩვენი ძალისხმევით, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვითა და შრომით შევქმნით უკეთეს მომავლს, ურთიერთთანამშრომლობით წამოწყებული ყველა მნიშნელოვანი საქმე წარმატებით, ჩვენი ქალაქისა და თანამოქალაქეების საკეთილდღეოდ დასრულდება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებთ დღეგრძელობას, სიკეთესა და კეთილდღეობას.

საბა ოდიშარია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით ვილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას - საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი

მშვიდობისა და სიყვარულის გზით ჩემო სენაკელებო!

კალენდარზე ბოლო დღეებს ფურცლავს 2023. კიდევ ერთ წელიწადს მიითვლის ჟამთასვლა და ფართოდ გაუღებს კარებს 2024-ს.

განვლილმა წელმა დაგვარწმუნა, რომ დედამიწაზე მუდმივი არაფერია. დროის შესატყვისად, თუმცა ზოგჯერ არა პროგნოზირებულადაც იცვლება ვითარება მსოფლიოში, კონტინენტებსა და ქვეყნებში.

უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე ომებმა ახალი გეოპოლიტიკური ვითარება, სირთულეები და გამოწვევები შექმნა მთელი რიგი ქვეყნებისთვის.

ქართველმა ხალხმა და "ქართული ოცნების" ხელისუფლებამ არაერთი დაბრკოლების მიუხედავად შეძლო განეხორციელებინა გონივრული და შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკა. სწორედ ამ ჯანსაღი, პრინციპული, ეროვნული პოლიტიკის შედეგად გვაქვს მშვიდობა, სტაბილურობა და თვალსაჩინო ეკონომიკური ზრდა. ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიული ნაბიჯი ევროკავშირში გაწევრების გზაზე. 14 დეკემბერს ქვეყანამ მიიღო კანდიდატის სტატუსი და როგორც ჩვენმა უწმინდესმა პატრიარქმა ბრძანა, ამით აღსრულდა ქართველთა ყველა თაობის, ყველა ხელისუფლების საუკუნოვანი ოცნება.

ძლიერ ქვეყანას ძლიერი რეგიონები ქმნიან. ქვეყნის წინსვლასა და შენებაში ღირსეულ სიტყვას ამბობს სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, მისი ხელმძღვანელობა. თვალსაჩინო წარმატება, მომავალზე ორიენტირებული. სენაკის მუნიციპალიტე ტის ახალგაზრდა მერის ვახტანგ გადელიას, საკრებულოს თავმჯდომარის საბა ოდიშარიას და მათი გუნდის თითოეული წევრის გეგმაზომიერი, დაუზარელი, გულიანი გარჯის, ტრადიციების შენარჩუნების, ხალხთან მუდმივი კავშირის და მათგან წამოსული ინიციატივების გადაჭრის გზების ძიების შედეგია.

მიმდინარე წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში ცხრამეტ მილიონზე მეტი ღირებულების, ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

თითქმის ყველა ეს პროექტი სოციალური ხასიათისაა და ხალხს, სენაკის მოსახლეობას ეკუთვნის.

მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და წინსვლაში თავისი წონადი, გამორჩეული წვლილი მიუძღვის სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლისს", რომელმაც 2023 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში განახორციელა 12 328 582,25 ლარის ღირებულების ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საარჩაიო-ზედა სორტის დამაკავშირებელი გზის; ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საბოხუოს, საოდიშარიოს, საკილასონიოსა და საბესელიოს უბნების; მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში საკირცხალიო-საკერძაიოს და საბარკალალაიოს უბნების გზების; მენჯის ადმ.ერთეულის სოფ.საგაბესკირიოს; ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე და სასაფლაოსთან მისასვლელი; ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლამდე მისასვლელი; გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზების; ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიესა და ლესაჯაიეს უბნების; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში; მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა-ბათარია), ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზების, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულსა და ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზების ; ჯიხას ქუჩის ბოლოში მარჯვენა და მარცხენა მხარეს გზის და ქ. სენაკში ალ. არჩაიას, შონიას ქუჩების, ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან, ახალსოფლისკენ მიმავალი გზისა და ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ძვირფასო მკითხველო! გზების, დასასვენებელი სივრცეების, ბაღების, სკოლების, ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის, სოფლების გაზიფიცირების, სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უწყვეტი პროცესი პირადად მე მიჩენს უკეთესი ხვალინდელი დღის, ტურისტული პოტენციალის გაზრდის, სოციალური პრობლემების დაძლევის, კოლხური ოჯახების გაძლიერების იმედს და განცდას.

მჯერა, რომ საქართველოს მთავრობის, პირადად ჩვენი პრემიერის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდაჭერით კვლავ აქტიურად გაგრძელდება სენაკის განვითარება, კეთილმოწყობა და რეგიონის ხელმძღვანელობა მისთვის ჩვეული ადამიანური თანადგომითა და ოჯახური ტრადიციებით გააგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ახალ წელს ვულოცავ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ ჩემს მიმართ გამოხატული ნდობისთვის, რის შედეგადაც ორჯერ გავხდი საქართველოს პარლამენტის წევრი, მადლობას ვუხდი იმ განსაკუთრებული დამოკიდებულებისთვის, რომელსაც ვგრძნობ ყოველთვის და ყველგან.

ვულოცავ ჩვენს პედაგოგებს, ვეტერანებს, საჯარო მოხელეებს, პოლიციელებს, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, მეხანძრე-მაშველებს, ემიგრანტებს, დევნილებს, პენსიონერებს, ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბარაქას, დასახული მიზნების, იმედების აღსრულებას.

გამორჩეულად მინდა მივულოცო ახალი წელი ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მიერ მრავალწლიანი შრომით ნაგებ საწარმოო გაერთიანება "არქეოპოლისის" თითოეულ თანამშრომელს, მათ ოჯახებს, მეგობრებს, შვილებსა და შვილიშვილებს.

ჩემს სენაკსა და სენაკელებს ვუსურვებ მშვიდობას, კეთილდღეობას, სულიერ სიმტკიცეს, განვითარებას და პროგრესს ყველა მიმართულებით.

დაე, ერთმანეთის ნდობისა და სიყვარულის, ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემის, დიდ ევროპულ ოჯახში ღირსეულად დამკვიდრების, ადამიანური ბედნიერების და სიყვარულის წელიწადი დაგვდგომოდეს!

გფარავდეთ ღმერთი!

დემურ გადელია

2024

ანონსი

გაზეთ „კოლხეთის“ მომდევნო ნომერში (№1. 2024 წ.) მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიშს.

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>

გამარჯვებულ 12 მუნიციპალიტეტს შორის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტი - შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს საგრანტო პროგრამა: "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათი ოჯახის წევრთა იდეების მხარდაჭერა და შემოსავლების გენერირება, შშმ პირთა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა" - ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია.

საგრანტო პროგრამა 2023 წლის საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის პროგრამად დასახელდა. სპეციალური პრიზი და შესაბამისი სიგელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას გადაეცა. საქართველოს მასშტაბით, სენაკის მუნიციპალიტეტი, კონკურსში გამარჯვებულ 12 მუნიციპალიტეტს შორისაა. მეექვსე ეროვნული კონფერენცია, ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG), დანიის მთავრობის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მხარდაჭერით მოეწყო.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, დანიის ელჩმა საქართველოში, ენ ტოფტ სორენსენმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ, კატალინ გერმანმა, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, ანნა ჩერნიშოვამ, USAID-ის DRG ოფისის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, კორინ როთბლუმმა, საქართველოში გერმანიის საელჩოს განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ლიდია კრისტმანმა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, ნიკო თათულაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, 2022-2023 წლების კონკურსისთვის შერჩეულ 14 თემაზე, რეკორდული რაოდენობის, 67 განაცხადი იყო წარმოდგენილი, საიდანაც წარმატებულ და კარგ პრაქტიკად 12 პროექტი დასახელდა. გამარჯვებული თვითმმართველი ერთეულები საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის მმართველმა კომიტეტმა, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებითა და შესაბამისი დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული შეფასების კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოავლინა.

ფართომასშტაბიან ეროვნულ კონფერენციას, რომელიც სასტუმროში ,, ჰოლიდეი ინნ თბილისი" გაიმართა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოების წარმომადგენლები, საქართველოს მუნიციპალიტეტების პირველი პირები და დარგის აღიარებული ექსპერტები ესწრებოდნენ.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, 2018 წლიდან ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამას (Best Practice Program), რომელიც ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული ინსტრუმენტია კარგი მმართველობის წარმატებული მაგალითების გამოვლენისა და გაზიარებისთვის.

ძველ სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს გაეცნო და ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა.

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა - 68 000 ლარი, მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა: ძველი სენაკის ცენტრში - საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები დამონტაჟდა, ღირებულებით - 66 500 ლარი;

სოფელ კოტიანეთში - გარე განათების სისტემა მოეწყო, ღირებულებით - 1 500 ლარი.2023 წელს, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 31 პროექტი განხორციელდა, რისთვისაც, სახელმწიფოსგან - 738 000 ლარი და თანადაფინანსებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 21 200 ლარი გამოიყო.

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას 759 200 ლარი მოხმარდა.

შესრულებულ სამუშაოებს, მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

,,ხელისუფლების მიერ დანერგილი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ მოსახლეობის საჭიროებებსა თუ პრობლემებზე რეაგირება მოხდეს დროულად და თითოეული პროექტი თავად მოქალაქეებმა აირჩიონ" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა.

2021-2023 წლებში, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, სენაკის მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 146 პროექტი განხორციელდა, რომელთა ღირებულებამ 2 270 709 ლარი შეადგინა.

მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

22 274 600 ლარით განსაზღვრული ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი საკრებულოს წევრების ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

საკრებულოს სხდომას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან, დონარა ალანიასთან ერთად დაესწრო.

2024 წელს დაფინანსდება: ▪დასუფთავება და გარემოს დაცვა - 288 000 ლარით; ▪განათლება - 900 900 ლარით; ▪მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 210 400 ლარით; ▪მმართველობა და საერთო დანიშნულება - 215 500 ლარით.

გაიზარდება შემდეგი სოციალური პროგრამების დაფინანსება: ▪საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა - 25 800 ლარით; ▪მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა - 45 500 ლარით; ▪მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 37 000 ლარით; ▪აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა - 48 000 ლარით; ▪ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 1 000 ლარით; ▪სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა - 30 000 ლარით; ▪შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 20 000 ლარით; ▪სოციალური ღონისძიებების პროგრამა - 6 000 ლარით; სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა - 100 000 ლარით; ▪დღის ცენტრის - „ლაზარე-2015" თანადაფინასების პროგრამა - 2 000 ლარით; ▪პროექტის - ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსება - 2 641 ლარით; ▪პროექტის - „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსება - 12 100 ლარით.

2024 წლიდან, პროექტის - „საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, არა მარტო სენაკის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი სამეგრელოს მასშტაბით, რისკის მქონე მოზარდებისთვის, ხელმისაწვდომი გახდება ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის/რეაბილიტაციის დაწყება;

18 წლამდე მოზარდებისა და ონკოლოგიური პაციენტების სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობა სრულად დაფინანსდება - დაფინანსების ზედა ზღვარი 1 200 ლარამდე გაიზრდება;

ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიო, იმუნო და ჰორმონოთერაპიული მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება 1 500 ლარამდე გაიზრდება;

გაიზარდება 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი მოზარდების დახმარება და ყოველთვიურად, ერთ ბავშვზე, გაიცემა 300 ლარი;

სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვებზე გასაცემი ხელოვნური საკვებით დაფინანსება 120 ლარამდე გაიზრდება.

2024 წლის პრიორიტეტებად რჩება ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, დასუფთავება და გარემოს დაცვა.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სარეაბილიტაციო სამუშოები აქტიურად გრძელდება. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე იმყოფებოდა, სადაც ღელე ,,ხაბაზეთის" და ცენტრალური კოლექტორის რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოებს გაეცნო. სამუშაოებს, ღირებულებით - 506 000 ლარი, შპს ,,კოლხიდა'' ახორციელებს.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სტიქიის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი დასრულებულია.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეკირცხალიეს უბანში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

ასფალტო-ბეტონის საფარისა და მილხიდების 2 044 გრძივ მეტრზე მოწყობის პროექტის ღირებულებამ, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება, 544 958 ლარი შეადგინა.

პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2023 წლის 27 ნოემბერს, პირველად, ახლადრეაბილიტირებულ სხდომათა დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო სამი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია,

3. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის გ-41.41233003 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საბჭოს მდივანი, მანანა გვიჩია და საბჭოს წევრები, საგრანტო კონკურსის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა" მონაწილეებსა და გამარჯვებულებს შეხვდნენ.

საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა და რეგისტრირებულმა, 15-მა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა. საბჭოს წევრებისაგან შემდგარმა კომისიამ, ორი გამარჯვებული გამოავლინა და კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა 10 000 ლარი, მათზე თანაბრად გადანაწილდა.

გამარჯვებულები გახდნენ, ირმა ადამია - პროექტით "ორანჟერეა" და ვენერა ხახუბია-ესებუა - პროექტით ,,არტ სამყარო ჩვენ სივრცეში".

ირმა ადამიამ, პანდემიის პერიოდში, ჰობის გათვალისწინებით, დაიწყო ყვავილების მოვლა-მოყვანის, დაკალმების და დაფესვიანების შესწავლა, ქოთნის დეკორატიული ყვავილების გამოყვანა და ინტერნეტით რეალიზება. თანდათანობით ცნობადობისა და მომხმარებლის ზრდასთან ერთად, დარგის შესწავლა დაიწყო ცნობილ მებაღეებთან. ამჟამად მას არ ჰყოფნის სივრცე ქოთნების დასაწყობად და ყვავილებისათვის სათანადო კლიმატნეიტრალური გარემოსათვის. გამარჯვებული პროექტის ამოცანაა, შეიქმნას "ორანჟერეა", ახალი სივრცე, სადაც მოიყვანს და გაამრავლებს, როგორც ერთწლიან ყვავილებს, ასევე მრავალწლიან მარადმწვანე დეკორატიულ ხე-მცენარეებს. "ორანჟერეა" მისცემს საშუალებას დაასაქმოს ახალგაზრდა ქალბატონი, ასწავლოს მას მებაღეობა-მეყვავილეობა და მასაც მისცეს შანსი გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი.

ვენერა ხახუბია-ესებუას წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 12 მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება შეისწავლოს ხალხური რეწვის ტრადიციულ ხელსაქმე და ხის დამუშავების და ხეზე მუშაობის ტექნიკა. ამავდროულად მოხდება მეწარმული ჩვევების შესწავლა და ხელშეწყობა. მათ შესაძლებლობა ექნებათ გაიცნონ და დაეუფლონ ხალხური რეწვის ტრადიციულ ხელსაქმეს, შეისწავლონ, დახელოვნდნენ და აითვისონ ხალხური ხელობის დარგები. გოგოები შეისწავლიან რამდენიმე მიმართულების ხელსაქმეს, კერძოდ თექაზე მუშაობას, კერვას, ქსოვას, ხოლო ბიჭები შეისწავლიან ხისაგან ტრადიციული მეგრული ჩიჩილაკის გათლის ხელოვნებას და ხეზე ამოწვის ტექნიკას. გამარჯვებული პროექტი ითვალისწინებს, საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციების შენარჩუნებას, დარგის განვითარების ხელშეწყობას, პოპულარიზაციასა და მომავალი თაობის ჩართულობას.

პროექტის ფარგლებში, მოხდება დარგის ერთი სპეციალისტის, თავად პროექტის ავტორისა და მისი თანაშემწის (შშმ) დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიური გაძლიერება.

გამართულ შეხვედრაზე, საგრანტო კონკურსში მონაწილე და გამარჯვებულ კონკურსანტებს სიგელები გადაეცათ. სენაკის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, კონკურსს მომავალ წელსაც გამოაცხადებს.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და სენაკის რაიონული პროკურატურის მონაწილეობით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის - "არა ფემიციდს" ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი, მანანა გვიჩია, საბჭოს წევრები და სოცილაურად დაუცველი სტატუსის მქონე ქალბატონები ესწრებოდნენ.

სენაკის რაიონული პროკურორის მოადგილე, თეიმურაზ ჯალაღონიამ და პროკურატურის საქმის წარმოების უფროსმა, ლატავრა კობახიძემ, შეხვედრის მონაწილეებს, მიაწოდეს ინფორმაცია ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და დღეს არსებული გამოწვევების შესახებ, ასევე მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება ფემიციდის დანაშაულებებთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევ მიზეზებსა და გენდერული სტერეოტიპების განხილვას.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანი, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენციაა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

მიეძღვნა ზურაბ ჟვანიას 60 წლის იუბილეს

9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში გაიმართა ზურაბ ჟვანიას 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

საიუბილეო ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა. მან ისაუბრა ზურაბ ჟვანიას ღვაწლზე პარლამენტარიზმისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში.

ღონისძიებაზე მოგონებებით გამოვიდნენ და ზურაბ ჟვანიასთან ურთიერთობის დეტალები გაიხსენეს საქართველოს ყოფილმა ელჩმა ევროპის საბჭოში ლანა ღოღობერიძემ, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა დანიელმა, პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ვახტანგ ყოლბაიამ, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა მაკა იოსელიანმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა

ცოტნე ეჯიბიამ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა ივერი ჭელიძემ, ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელმა, მწვანეთა მოძრაობის/ დედამიწის მეგობრები – საქართველო თავმჯდომარემ ნინო ჩხობაძემ.

აღსანიშნავია, რომ ცოტნეს ესეთი ,,ზურაბ ჟვანია სამაგალითო პიროვნებაა, რომელიც ემსახურა სახელმწიფოს", იწყება ზურაბ ჟვანიას საიუბილეო კრებული „გაელვება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია ეთერ მაისაშვილი, წიგნის რედაქტორი ელზა ნაბახტეველი, შემდგენელი მანანა კარტოზია.

საიუბილეო საღამოზე შედგა წიგნის პრეზენტაცია. სტამბა ,,სეზანის" გამოცემული წიგნი გამოირჩევა მაღალი პოლიგრაფიული დონით, საუკეთესო დიზაინით, გამოყენებულია გ,ჩანადირის, დ. კეკელიას, ი. მეჩითოვის ფოტოები.

საიუბილეო საღამოს ლეიტმოტივად გასდევდა ზურაბ ჟვანიას სიტყვები ,,მე ვარ ქართველი და, მაშასადამე ვარ ევროპელი".

საქართველოს პარლამენტმა ზურაბ ჟვანია სიკვდილის შემდეგ ,,თავისუფლების საპარლამენტო ორდენით" დააჯილდოვა პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ჯილდო პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა გადასცა ზურაბ ჟვანიას მეუღლეს, ნინო ქადაგიძე – ჟვანიას.

ზურაბ ჟვანია, დიდი პოლიტიკოსი, ახალგაზრდების დამრიგებელი, პროგრესული ლიდერი, მოაზროვნე, საუკეთესო მეგობარი, ასე შეაფასეს იგი პოლიტიკოსებმა, მეგობრებმა, კლასელებმა, ახალგაზრდებმა.

დასასრულს, მინდა მივულოცო თანაქალაქელს, პერსპექტიულ ახალგაზრდას ცოტნე ეჯიბიას ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობა და ვუსურვო ახალი წარმატებები.

გვანცა გეგელია
თსუ ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტი

P.S. ბატონ ზურაბ ჟვანიას წინასწარმეტყველება ასრულდა, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. ვულოცავთ საქართველოს, სრულიად სენაკს.

სენაკის საპატიო მოქალაქეები

მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი ადამიანები ,,ეგრისობის" დღესასწაულზე დაჯილდოვდნენ სენაკის საპატიო მოქალაქის წოდებით. აღნიშნულიდან გამომდინარე რედაქციამ სთხოვა მათ შთაბეჭდილებების გაზიარება.

მანანა ჭანტურია

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მენჯის საშუალო სკოლისა და წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის მასწავლებლად. 1990-1991 წლებში სენაკის №66 საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეა, 1991-2005 წლებში ამავე სასწავლებლის დირექტორი, 2005-2007 წლებში-სენაკის მრავალდარგოვან პროფესიულ სასწავლებელს ხელმძღვანელობს, ხოლო 2008-2010 წლებში სსიპ სენაკის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორია.

2010-2011 წლებში იგი მუშაობს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის (სენაკის ბაზა) სასწავლო პროგრამების კოორდინატორად, 2011-2012 წლებში კი ა(ა)იპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსად (სენაკის ბაზა).

2023 წლის იანვრიდან ქალბატონი მანანა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის უფროსია. ჰყავს ვაჟი და ერთი შვილიშვილი.

. . . . . .

შემიძლია თამამად ვთქვათ, რომ სენაკი თვითმყოფადი ქალაქია, სადაც იცავენ ტრადიციებს, ამკვიდრებენ ზნეობრივ ღირებულებებს, გამორჩეულად იციან წინაპრებისა და გმირებისადმი პატივის მიგება, ახალგაზრდების წარმოჩენა-დაფასება.

ცხადია გიჩნდება სიამაყისა და მადლიერების გრძნობა, როდესაც ამჩნევენ ქალაქისადმი შენს გაწეულ ღვაწლს, განიჭებენ საპატიო მოქალაქის წოდებას. რამდენიმე ათეული წელია ვემსახურები ახალგაზრდობის განათლების რთულ, მაგრამ საპატიო საქმეს. პროფესიული განათლება დღეს ის სფეროა, სადაც ერთმანეთს ერწყმის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობები, ასე მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების მიღწევები. თავად პედაგოგის ოჯახში გაზრდილმა კარგად ვიცი განათლების ფასი. მომსწრე ვარ ყველა იმ რეფორმის, რაც განათლების სისტემამ გაატარა თავისი ავ-კარგით. დიდია მოტივაცია, როდესაც შენი წვლილი შეგაქვს ახალგაზრდობის პროფესიულ დაოსტატებაში, რადგანაც ახალგაზრდობა არის ძალა, რომელმაც უნდა ააშენოს და გააძლიეროს ხვალინდელი საქართველო.

მინდა მივულოცო სენაკის საპატიო მოქალაქეობა იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან ერთად იქნენ არჩეულნი ეგრისობის სახალხო დღესასწაულზე.

აქვე მადლობას ვუხდი იმ პირებს, რომლებმაც გამიწიეს რეკომენდაცია და მომანიჭეს ეს საპატიო ტიტული.

მინდა ვისურვო უკეთესი სენაკი, კიდევ უფრო ლამაზი, ევროპული იერით, მეტი დასაქმებული და მშობლიურ კერაზე დაბრუნებული ადამიანით. მჯერა, რომ მომავლის სენაკს ექნება კარგი ტურისტული პოტენციალი, განვითარებული ეკონომიკა, გაძლიერებული ბიზნესისა და მეწარმოების სფერო.

ვენერა ლიპარტია

დაიბადა 1966 წლის 26 თებერვალს სენაკში. დამთავრებული აქვს შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების ბაზა-ფერმერის სპეციალობით.

არის წარმატებული მეწარმე, სენაკის ფერმერთა სკოლის ლიდერი, აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო, კულტურულ აქტივობებსა და ფესტივალებში, მოპოვებული აქვს სოფლის განვითარების სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსება, გავლილი აქვს ტრენინგები.

აქტიური ქალბატონი მეწარმის შრომატევად საქმიანობას სწავლასაც უთავსებს, ამჯერად მეფუტკრეობის პროგრამაზე სწავლობს. ფიქრობს ბიზნესის გაფართოება-განვითარებაზე. ჰყავს 2 ვაჟიშვილი.

. . . . . .

ძალიან ამაღელვებელია ჩემთვის სენაკის საპატიო მოქალაქეობა. მიჭირს სრულყოფილად გადმოგცეთ ის ემოცია, რასაც განვიცდი.

15 წლის წინ, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მცირეწლოვან შვილებთან დარჩენილს შემეშინდა. არ ვიცოდი ცხოვრებას როგორ გავაგრძელებდით. ეკონომიკურად გაგვიჭირდა, სწორედ ამ დროს პენსიონერმა მამამ ძროხა მიყიდა, მე კი ძროხის მოწველა არ ვიცოდი. მაგრამ დიდი მონდომებითა და დაუღალავი შრომით ყველაფერი ვისწავლე. და დღეს უკვე ჩემი ფერმა 16 სულ პირუტყვს ითვლის.

ბევრი იდეა მაქვს, ვფიქრობ ეტაპობრივად განვახორციელო თითოეული მათგანი, ამჯერად მსურს შევქმნა რძის საწარმო, რითაც მომხმარებელს შევთავაზებ ინოვაციურ და მრავალფეროვან რძის პროდუქტს.

მადლობას ვუხდი სენაკის მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას ჩემი შრომის დაფასებისა და აღიარებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემთან ერთად დაჯილდოებულთ ვულოცავ სენაკის საპატიო მოქალაქეობას.

გურამ ზესაშვილი

დაიბადა 1981 წლის 14 აგვისტოს სენაკში. სწავლობდა სენაკის №1 სკოლა გიმნაზიაში. 2002 წელს დაამთავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

მას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი აქვს.

წლების მანძილზე მუშაობდა სენაკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, კერძოდ, 2002-2003 წლებში სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგაყოფილების ინსპექტორად; 2003-2004 წლებში- ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფოლების ინსპქტორად; 2004 წელს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ინსპექტორად;

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის II მთავარი სამმართველოს ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოში: 2005-2006 წლებში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსად; ხოლო 2006-2011 წლებში იმავე დეპარტამენტის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

2011-2012 წლებში ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების დეტექტივია;

2012-2013 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2013-2014 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს უფროსი; 2014 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უფროსი; 2014-2018 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი; 2018-2019 წლებში ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; 2019-2021 წლებში მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე(ოპერატიულ დარგში); 2021-2021.06.15 -სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი;

2021.06.15 წლიდან დღემდე სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორია. ის დაჯილდოებულია შინაგან საქმეთა სამინისტრის I ხარისხის მედლით ,,განსაკუთრებული დამსახურებისათვის", სამკერდე ნიშნით ,,უმწიკვლო სამსახურისთვის 10 წელი", სამკერდე ნიშნით ,დამსახურებული პოლიციელი", ვადაზე ადრე მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება ,,პოლიციის პოლკოვნიკი", ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ,,წარმატების სიგელი" ორმხრივი თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების მხარდაჭერისათვის. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

. . . . . .

სენაკის საპატიო მოქალაქეობა ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც შეიძლება მიიღოს ამ ქალაქის მკვიდრმა. როდესაც შენი მშობლიური ქალაქი ამხელა პატივს დაგდებს, რა თქმა უნდა ამაღელვებელია. სენაკელობა საპატიო წოდებაა, საპატიო სენაკელობა კი ორმაგი პატივია. ამაყი ვარ, რომ ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. სენაკელობა ჩემთვის არის სითბო, სიყვარული და ზრუნვა საკუთარ ქალაქზე და ქვეყანაზე.

შოთა ლომია

დაიბადა 1946 წელს. აქვს უმაღლესი განათლება. დამთავრებული აქვს საქართველოს სასოფლო-საურნეო ინსტიტუტი და სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: სოფლის მეურნეობის უფროს ინჟინრად, ცხაკაიას სახალხო კონტროლის თავმჯდომარის მოადგილედ. შ.ს.ს ცხაკაიას პოლიციის უფროსის მოადგილედ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სენაკის რაიგანყოფილების საპასპორტო სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის უფროსად. შინაგან საქმეთა სამინისტროში იმუშავა სულ 21 წელი.

1991-92 წლებში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. არის ვიცე პოლკოვნიკი.

შოთა ლომია გამორჩეული ბუნების მისაბაძი ადამიანია, რომელიც საზოგადოებაში უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობს.

. . . . . .

სენაკში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ სენაკი ჩემთვის ყველაფერია.

სამსხურებრივი კარიერის ნებისმიერ პოზიციაზე ჩემი ცხოვრების კრედო იყო მემსახურა ისე, რომ ჩემი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შემეტანა მშობლიური ქალაქის წინსვლაში. როგორ გამომივიდა ვერ გეტყვით. ერთი კია, ცდა არ დამიკლია.

მახარებს ჩემი ქალაქის აღმშენებლობის პროცესი შეუქცევადი რომ არის, ეს კი მუნიციპალიტეტის საქმეზე ორიენტირებული ხელისუფლების დამსახურებაა.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდა მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას, მის გუნდს ჩემი პიროვნების წინ წამოწევისათვის და სენაკის საპატიო მოქალაქეობის მონიჭებისათვის, ვუსურვებ მათ ქვეყნის მსახურების საქმეში არ დაღლას, წინსვლას და წარმატებებს.

გიორგი თოლორდავა

დაიბადა 1963 წლის 18 იანვარს სენაკში. საშუალო სკოლის ,,ოქროს მედალზე" დამთავრების შემდეგ 1981 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წელს მეან-გინეკოლოგის სპეციალობით.

2001 წელს დააფუძნა კლინიკა ,,სენა-მედი" სამშობიარო სახლის სტატუსით. შემდეგ წლებში მაშტაბური რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის შედეგად კლინიკამ მიიღო მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების სახე, სამეანო, პედიატრიული, რეანიმაციული, ქირურგიული, თერაპიული და დიაგნოსტიკური მიმართულებით.

კოვიდ პანდემიის პერიოდში კლინიკა აქტიურად მონაწილეობდა კოვიდ პაციენტების მკურნალობის და მართვის პროცესში. კლინიკაში დასაქმებულია 145 ადამიანი. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

. . . . . .

წლებია ვემსახურები რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. ექიმის ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა ოჯახში შევისისხლხორცე პროფესიის სიყვარული. თითოეული სენაკელის მხრიდან გამოთქმული სამადლობელი სიტყვა უდიდესი მოტივაცია ჩემთვის.

ძალიან მიყვარს სენაკი. ის მართლაც არის ევროპული ღირებულებებით და ამასთან ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით გამორჩეული ქალაქი. აქედან გამომდინარე საპატიო სენაკელობა ჩემთვის არის კვლავაც ღირსეულად დგომა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, ქალაქის ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების პატივისცემა.

მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გამიხსენა, დამაფასა და საპატიო სენაკელობა მომანიჭა.

ამირან აფაქიძე

დაიბადა 1956 წლის 2 ოქტომბერს. 1974 წელს დაამთავრა ზანის საშუალო სკოლა, 1976 წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1982 წელს, სპეციალობა საავტომობილო გზები და ხიდები, აქვს ინჟინრის კვალიფიკაცია.

1982-1983 წლებში მუშაობს სენაკის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში, 1983 წლიდან 2010 წლამდე ხობის №1 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოში გზების ინჟინერ-მშენებლად. 2010-2015 წლებში კერძო ფირმა შპს ,,ავიასაწვავ" სერვისის სენაკის ფილიალში დირექტორად.

2016 წლიდან კერძო ფირმას ფლობს და მუშაობს ხიდების ინჟინრად სხვადასხვა რაიონებში, ღებულობს ტენდერებში მონაწილეობას.

. . . . . .

სასიამოვნოა, როცა შენს განვლილ გზას დადებითად აფასებენ, უფრო მეტი, ქალაქის საპატიო მოქალაქედ გირჩევენ. ეს აღიარება პასუხისმგებლობით აღმავსებს. პროფესიით მშენებელი ვარ, ამიტომ ჩვენი ქალაქის წინსვლისთვის შენების, განვითარების პროცესში აქტიურად უნდა ჩავერთო. დღეიდან უფრო მეტი უნდა გავაკეთო, რათა ღირსეულად ვატარო სენაკის საპატიო მოქალაქის სტატუსი.

მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ჩემი საქმიანობის შეფასებისა და დაჯილდოებისათვის.

სულო სეფიაშვილი

დაიბადა 1951 წ. 13 აგვისტოს სენაკში. არის უმაღლესი საინჟინრო განათლებით. პირველი სამუშაო გამოცდილება მიიღო აფხაზეთის კომუნალური მშენებლობის სამინისტროს აპარატში, სადაც სამშენებლო კონსტრუქციების ინჟინერ ექსპერტად მუშაობდა.

1987 წელს სულო სეფიაშვილი ოჯახთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. თავიდან მუშაობდა ქართულენოვან გაზეთში ,,ალია საქართველოდან" ჟურნალისტად, შემდეგ კი რედაქტორად. აქ დაიწყო მან აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა.

შემდეგ, 2005-10 წ.წ. მუშაობას იწყებს ქართველ ებრაელთა გაერთიანება ,,ნიულში" და აარსებს ორენოვან (ქართულ-ებრაულ) ფერად ჟურნალს ,,აშდოდელებს". ამ პერიოდში ის აშდოდის სპორტულ -გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექტირთა საბჭოს თავმჯდომარეცაა. 2005 წ. აარსებს ტურისტულ კომპანია ,,სულოტურს". 2009 წ. ინიშნება ახლადაარსებულ ქართველ ებრაელთა კულტურის ცენტრის დირექტორად, რომლის ბაზაზეც დააფუძნა ორენოვანი ჟურნალი ,,აშდოდის მოამბე"

2015-2019 წლებში საერთაშორისო კომპანია ,,ჯი-აი-ჯის"-ს პრეზიდენტია, 2020-2021 წლებში კი კომპანია ,,ტელ-ალ ისკე"-ში მოღვაწეობს

2001 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული ,,სიზმრის სასახლე", ხოლო 2011 წელს მეორე პოეტური კრებული ,,დავუშვათ გათენდა"

სულო სეფიაშვილი დაჯილდოებულია ქართულ-ებრაული ურთიერთობისა და კულტურული კავშირების განმტკიცების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1989 წ.) აგრეთვე ოქროს მედლით და დიპლომით (2001 წ.), ასევე საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ,,ოქროს ფონდის" დიპლომით და ,,ქართული კულტურის ამაგდარის" წოდებით(2022 წ.), ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიღებული აქვს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია(2023 წ.).

მას მიღებული აქვს ისრაელის კულტურული ორგანიზაციების, ქალაქ აშდოდის მერიის, იერუსალიმის ქართველ ებრაელთა თემის და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების საპატიო დიპლომები და სიგელები, სამახსოვრო და ფასიანი საჩუქრები.

მის მიერ ისრაელის სცენებზე დაიდგა არაერთი გახმაურებული სპექტაკლი. მოწყობილი აქვს თბილისობისადმი, ქუთაისობისადმი, რაჭველებისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი საზეიმო ღონისძიებები. არის ისრაელში მოღვაწე არაერთი მწერლისა და პოეტის წიგნების რედაქტორი.

ზემოაღნიშნული სულო სეფიაშვილის მრავალფეროვანი ცხოვრება-შემოქმედების ზოგადი შტრიხებია, რომლის უკანაც სენაკში დაბადებულ-გაზრდილი, შემდეგ აღთქმულ მიწაზე ფრთებგაშლილი, მაგრამ ოდაბადესთან ხილულ-უხილავი ძაფებით მიერთებული, ბავშვობის ხილვებით აღვსილი, სითბოთი და მონატრებით აღსავსე ადამიანი დგას, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უმძიმესი ვითარების მიუხედავად გვესტუმრა, ქალაქს. მეგობრებს, წინაპართა საფლავებს მიესათუთა, მოგვეფერა და საგზლად უნაპირო სიყვარული დაგვიტოვა.

რედაქციის სახელით ვულოცავთ მას ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქეობას და დამდეგ შობა-ახალ წელს.

„სამშობლოს გრძნობა, გასაკვირველი...”

არ ვიცი, რა დავარქვა იმ გრძნობას, რომელიც 12 ნოემბრის შუადღეს დამეუფლა მაშინ, როცა ორდღიანი თავგადასავლების შემდეგ, ფეხი დავადგი მშობლიური სენაკის მიწას. მე და ჩემმა თანამგზავრმა, ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ქალბატონმა ლეილა ნოდიამ, როგორც კი ვაგონის კიბეებთან სახეგაბრწყინებული მასპინძელი, ქალბატონი ირმა კუპრეიშვილი დავლანდეთ, მყისვე დამავიწყდა მთელი ის ოდისეა, რაც ჯერ კიდევ ისრაელის ბენგურიონის სახელობის აეროპორტში დაიწყო და მერე ლარნაკასა და თბილისში გაგრძელდა...

ჰო, მგონი გადავუხვიე... მატარებლიდან ჩამოვედით და სიყვარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს. ჩვენი კეთილი მასპინძელი წინ გაგვიძღვა და სამიოდე წუთში უკვე სასტუმრო “ვერსალის” ფოიეში შევაბიჯეთ.

როგორც ყველაფერში, სენაკელები აქაც პირველები აღმოჩნდნენ და ქალაქის სასტუმროსთვის “ვერსალი” დაურქმევიათ, “აბა, ახლაც არ მიგვიღებთ ევროპაშიო?”

ქალაქის სინამდვილეში მეტად დამსახურებულ და დარბაისელ კაცს, ბატონ ანზორ ცაგურიას, ჩემთვის ნომერი უკვე დაეჯავშნა. ნომერში შესვლა და ბარგის დადება ძლივს მოვასწარით, რომ ქალბატონმა ირმამ სასტუმროს ქვედა სართულზე მდებარე კაფე-ბარში სასადილოდ მიგვიწვია, აქაოდა ნამგზავრები ხართ და მოშიებულები იქნებითო. სულ მალე მეგრულ, ლაზათიან, უგემრიელესი პურ-მარილით გაწყობილ მაგიდას მივუსხედით. ცოტა ხანში ჩემი ბავშვობის მეგობარი და დობილი, ცნობილი მომღერალი და მუსიკოსი, ქალბატონი დარეჯან ფაჩულიაც შემოგვემატა და კიდევ უფრო გაგვიხალისა სუფრა, ისედაც ემოციებსა და ეიფორიაში მყოფ სტუმარ-მასპინძელს...

სადილის დასასრულს ქალბატონმა დარეჯანმა ყველანი ქალაქის ხელოვნების ცენტრში მიგვიწვია, სადაც, როგორც აღმოჩნდა, ამ ცენტრის აღსაზრდელებისა და პედაგოგ-მასწავლებლების მონაწილეობით ჩემთვის სიურპრიზად დიდებული კონცერტი დაეგეგმათ...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კარი შევაღეთ და მაყურებლებით სავსე დარბაზში ამოვყავით თავი... ყველას გულთბილად მივესალმეთ, ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები დავიკავეთ და რამდენიმე წუთში მუსიკალური პროგრამაც დაიწყო... გემოვნებით მორთული ავანსცენის ცენტრში ისრაელის სახელმწიფოს დროშა გადმოეფინათ, ძალუმად შემეკუმშა გული, ერთის მხრივ, სიხარულით და სიამაყით, მეორეს მხრივ კი, თვალწინ დამიდგა, რომ იმ წუთებში, შორს, ღაზის მისადგომებთან ჩვენი გოგო-ბიჭები ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყვნენ ჩაბმულნი.

დიდებული წამყვანი, ქალბატონი ნინო კოღოშვილი შესანიშნავი თემატური საკონფერანსიო ტექსტით, ბრწყინვალე, დახვეწილი, გემოვნებიანი მუსიკალური ნომრებით, უთუოდ ნიჭიერი მოზარდების მიერ მონდომებით, გულწრფელად შესრულებული, პედაგოგების მიერ ვირტუოზულად დაკრული კლასიკური ნაწარმოებები... ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა...

კონცერტის დასასრულს სტუმარ-მასპინძელმა გულითადი სიტყვებით გამოვხატეთ ჩვენი აღტაცება და მადლობა სამუსიკო ცენტრის მესვეურებისა და საღამოს ორგანიზატორების მიმართ, სამსახსოვრო სურათებიც გადავიღეთ და გულთბილად დავემშვიდობეთ მასპინძლებს...

იმავე დღეს, საღამოს ჩემმა თანაკლასელმა ზეინაბ ადამიამ გვიმასპინძლა სახლში... ამ შეხვედრას განსაკუთრებული მღელვარებით ველოდი, რამეთუ სკოლის დამთავრების შემდეგ პირველად ვხვდებოდით ერთმანეთს... ეს იყო უაღრესად ამაღელვებელი წუთები, წუთები, რომელზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი და ახლა ზეინაბის სახით მთელ ჩემს თანაკლასელებს ვეფერებოდი, ჩემს საყვარელ ამხანაგებს, რომელთა მონატრება ამ ცხოვრების ქარ-ცეცხლში სათუთად გამოვატარე და იმ საღამოს მივეცი ემოციებს გზა და სადინარი... კარგა ხანს შემოვრჩით ჩემი მეგობრის სახლში, ბევრი ვისაუბრეთ, ბევრიც გავიხსენეთ და ვიოხუნჯეთ და გვიან ღამით, აფორიაქებული, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი დავბრუნდი სასტუმროში...

მეორე დღეს კი, კვირას, „ეგრისობის” დღესასწაულის დაწყებამდე, დილის თერთმეტი საათისთვის უკვე ქალაქის სამხატვრო გალერეაში ვიყავით, სადაც საქვეყნოდ აღიარებული მხატვარი ძმების, ჰაიკო და ანრი გახარიების ნამუშევრების პერსონალური გამოფენა იხსნებოდა. რა ნახატები და გობელენები, რა საზოგადოება, ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენცია, მხატვრების ქალიშვილები და ოჯახის წევრები, მათი მეგობრები და მოწვეული სტუმრები, პრესა და ტელევიზია, ქალაქის ხელმძღვანელობა მერის ბატონი ვახტანგ გადელიას თავკაცობით... გაცნობა, მოკითხვები, შეხვედრები ძველ ნაცნობებთან და მეგობრებთან, ინტერვიუები, საუბრები, საყოველთაო აღფრთოვანება და ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარების დაუფარავი სიხარული... ამ დიდებულ სივრცეში, განსაკუთრებით ჩემი მასწავლებლის, ქალბატონი მზია ბარქაიას ნახვამ და მასთან შეხვედრამ გამახარა. ეს იყო ბედნიერ ბავშვობაში დაბრუნების ამაღელვებელი წუთები....

ძმები გახარიების შემოქმდებასთან შეხვედრამ დაუვიწყარი ფერები და შინაარსი შეემატა ჩემს მშობლიურ ქალაქში გატარებულ იმ ორ ჯადოსნურ დღეს...

ვიდრე ნოქალაქევისკენ ავიღებდით გეზს, ვისარგებლე შემთხვევით და მამის საფლავს მივეახლე, რაშიც ქალბატონი დარეჯანი და სენაკში ჩვენი თემის ამაგდარი კაცი, ბატონი იოსკა მიხელაშვილი დამეხმარნენ. მამის საფლავის ნახვამ უფრო ემოციურად განმაწყო ჩემი სენაკისა და სენაკელების მიმართ, რამეთუ ეს წმინდა ადგილი მარადიულად გვაკავშირებს მე და ჩემს მშობლიურ ქალაქს.

ნოქალაქევში, სადღესასწაულოდ მორთულ და აჟრიამულებულ ციხე-გოჯს რომ მივუახლოვდით, “ეგრისობის” დღესასწაული სტუმრების მატებასთან ერთად ძალას იკრებდა და სალაღობოდ გულგახსნილი ეგებებოდა ყველას....

საოცარი სურათი დაგვხვდა, როგორც კი ციხე-გოჯის გალავნის კარიბჭე გავიარეთ და საზეიმოდ მორთულ ტერიტორიაზე შევდგით ფეხი...

მზე უკვე გადაწვერილიყო და ოქროს ფერებში აელვარებდა ისტორიული ციხე-გოჯის უძველეს ქონგურებს... თბილი, სასიამოვნო ამინდი სალხენად და საზეიმოდ განაწყობდა სტუმარ-მასპინძელს...

ზღვა ხალხი შეკრებილიყო, სენაკელთა ყველა თაობის წარმომადგენლები, ქალაქის სტუმრები და დედა ეკლესიის წარმომადგენლები...

ქალაქის სკოლებს, ორგანიზაციებს, კერძო და სახელმწიფო საწარმოებს, ხელოვანებს, მხატვრული რეწვის ოსტატებს თავაინთი ნახელავი და სამეგრელოს მიწა-წყლის მოსავალი ულამაზეს დახლებსა და ცოცხალ კუთხეებში გამოეფინათ... რა სიუხვე, რა სილამაზე, რა გემოვნება და გამომგონებლობა... გაოცებას და აღტაცებას ვერ ვფარავდი... ერთ-ერთ დახლთან დაჯილდოების ცერემონიალის წამყვანს, შესანიშნავ ტელესახესა და თეატრმცოდნეს, ბატონ ნიკა წულუკიძეს შევხვდით. ყველამ გავიხარეთ...

მეგრული სამზარეულოს უგემრიელესი კერძების დაგემოვნება, სპორტული ასპარეზობები, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები, ხატვისა და მეგრული სამზარეულოს მასტერკლასები შნოს და ლაზათს მატებდა უძველესი ციხის გაცოცხლებულ კედლებს, საზეიმოდ და სამოყვროდ განაწყობდა აქ შეკრებილ ათასობით სტუმარს...

მალე ქალაქის თავკაცებიც გამოჩნდნენ, რომელთაც ამაყად მოუძღოდა წინ სენაკის მერ ბატონი ვახტანგ გადელია, ერთობ წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, ქარიზმატული პიროვნება, შესანიშნავი ორატორული თვისებებით დაჯილდოებული. მას თან ახლდნენ სხვა ოფიციალური პირებიც.

საღამოს ექვსი საათისთვის კი საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე სენაკის ამ წლის საპატიო მოქალაქეების დასახელების ცერემონიალი დაიწყო. თექვსმეტ ღირსეულ პიროვნებას, თავ-თავიანთი საქმისა და დარგის რჩეულ, საქვეყნოდ აღიარებულ წარმომადგენლებს რიგ-რიგობით გადაეცათ ქალაქის საპატიო მოქალაქის დიპლომები და მედლები... და აი, ჩემი ჯერიც დადგა. საღამოს წამყვანმა სცენაზე მიხმო და იმ ერთ წუთში, რომელიც სცენამდე მისვლას დასჭირდა, მთელმა ჩემმა განვლილმა ცხოვრებამ ჩამირბინა თვალწინ...

ავედი სცენაზე საოცრად ბედნიერი და ცოტა დაბნეულიც. თავს ვიყოჩაღებდი და არ ვიცი, როგორ, მაგრამ მაინც მოვახერხე სენაკისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსის წაკითხვა და სამადლობელო სიტყვის წარმოთქმა...

ერთდროულად დამეუფლა სიხარულისა და მადლიერების გრძნობა ჩემი ქალაქის მესვეურთა მიერ მონიჭებული ამ დიდი პატივის გამო, რომელმაც ახალი, კეთილი საქმეების კეთების სურვილით ამავსო.

რა კარგები იყვნენ იმ წუთებში ჩემი სენაკელები, ის ახალაგაზრდები, რომელთაც უფროსი თაობისგან ესტაფეტა გადაიბარეს და ახლა წარმატებულები, ამაყად იდგნენ სცენაზე, საიდანც ჩვენი კოპწია ქალაქის მომავალი კიდევ უფ-რო საიმედო და ნათელი მოჩანდა...

ცერემონიალი დიდებული გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ დედაქალაქიდან ჩამოსული პროფესიონალი ანსამბლები

და საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანები. გვიან ღამით კი ულამაზესმა ფოიერვერკებმა გაანათეს ციხე-გოჯის თავზე ისედაც ვარსკვლავებით მოჭედილი უკიდეგანო ცა...

დღესასწაული შედგა...კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა ყველა, სტუმარ-მასპინძელიცა და განსაკუთრებით საოცრად სანდომიანი, მორიდებული და უნიჭიერესი, ამ უდიდესი ღონისძიების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ქალბატონი ირმა კუპრეიშვილი, რომლის მეგობრობითაც ასე ვამაყობ და რომელიც უთუოდ გახლავთ ჩემი მშობლიური ქალაქის გამორჩეული მკვიდრი...

გვიან საღამოს კი, სენაკში რესტორან “სამეფოს” სადღესასწაულო დარბაზში, ქალაქის მესვეურთა თავკაცობით დიდებული ბანკეტი გაიმართა, არნახული, მეგრული, მართლაც სამეფო პურ-მარილით დამშვენებული, აღსავსე გულიდან წამოსული ულამაზესი სადღეგრძელოებითა და კეთილი სურვილებით, ასე რომ სჭირდება და ამშვენებს ჩემს მშობლიურ სენაკს...

მომდევნო დღეს კი, ქალბატონებთან ირმასთან, დარეჯანთან და ბატონ ზაზა ნაჭყებიას ძმასთან-დათა ნაჭყებიასთან ერთად ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტს მივაშურეთ, სადაც გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს იმ იმედით, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრები კიდევ უფრო გააღრმავებს, ახალ შინაარსს შესძენს ჩვენს მრავალსაუკუნოვან, პირშეურცხვენელ, სამაგალითო მეგობრობას. მომავალ შეხვედრამდე, გავიფიქრე და სიყვარულით დავემშვიდობე ჩემს ძვირფას მასპინძლებს...

სულო სეფიაშვილი, პოეტი,
ჟურნალისტი, ქართული კულტურის
დესპანი ისრაელში, ქალაქ სენაკის
საპატიო მოქალაქე

პატარა მწიგნობარი

წიგნის პოპულარიზაციის მიზნით ამერიკის საელჩოს მიერ განხორციელებული პროგრამის -,,საზაფხულო გამოწვევა კითხვაში ამერიკული სივრცეებისათვის საქართველოში" ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება მიზნად ისახავდა ზაფხულის არდადეგებზე 5-დან 18 წლის ასაკის მკითხველების მონაწილეობას გამოწვევაში-,,იკითხეთ წიგნები ჩვენთან ერთად".

მოსწავლეს თავად უნდა აერჩია საინტერესო წიგნი ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

ამერიკელები თვლიან,რომ ზაფხულის არდადეგებზე სამყაროს შესწავლის საუკეთესო საშუალებაა კითხვა. საზაფხულო გამოწვევა კითხვაში არის ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული ტრადიცია.მილიონობით ამერიკელი ბავშვი ზაფხულის დიდ დროს კითხვაში ატარებს.

შვედი საბავშვო მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის შეფასებით: ,,წიგნს ვერაფერი შეცვლის. წიგნი ფრთას ასხამს ფანტაზიას". ბავშვი, რომელიც წიგნთან ერთად არის განმარტოებული, საკუთარი ფანტაზიით ქმნის ნათელ, წარუშლელ სახეებს. ბავშვის ფანტაზია ამოუწურავია. მის გარეშე სამყარო გაღარიბდებოდა. ყველაფერი დიადი, რაც სამყაროში მომხდარა, ჯერ ადამიანის წარმოსახვაში იბადება. როგორი იქნება მსოფლიო ხვალ იმათზეა დამოკიდებული,ვინც ახლა სწავლობს კითხვას.

,,ყველაზე უფრო სავსე ბავშვობაში საყვარელ წიგნთან გატარებული დღეებია,- ასე ფიქრობს ქ. სენაკის შპს ,,სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის" მე-3 კლასის მოსწავლე მართა ალანია, რომელიც განსაკუთრებულ ნიჭსა და მიდრეკილებას ავლენს უცხოური ენებისადმი, რაც იყო ერთგვარი ინსპირატორი იმისა, რომ ამერიკის საელჩოს მიერ განხორციელებული პროგრამის - ,,საზაფხულო გამოწვევა კითხვაში ამერიკული სივრცეებისათვის საქართველოში" ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებაში დაჯილდოვდა ვერცხლის დიპლომით.

ვუსურვოთ ნორჩ მწიგნობარს მომავალი დიდი წარმატება სხვა მრავალ სერიოზულ ღონისძიებაში.

ნანა ნორაკიძე,
კერძო სკოლა ლიცეუმის
დირექტორი

ისტორიის სწავლების წესები და მეთოდები

ყველა სიახლე, რომელიც დადებითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე და რასაც მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება ახლავს თან მნიშვნელოვანია, ამიტომ დღეს ვიმსჯელებთ მეთოდზე, რომელსაც ეწოდება "შეტრიალებული სასწავლო პროცესი".

შეტრიალებული სასწავლო პროცესი ნიშნავს ისეთ სწავლებას, როცა მოსწავლეები ახალ მასალას კლასის მიღმა ეცნობიან. უმეტეს შემთხვევაში თვითონ კითხულობენ ახალ მასალას ან უყურებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ვიდეო-ლექციას, ხოლო საკლასო დროს უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად იყენებენ. მაგ; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია, დებატები, ექსპერიმენტები და ა.შ. შეტრიალებული სასწავლო პროცესი ითვლება კონსტრუქციულ პედაგოგიკად, რომელიც ქმნის ნიადაგს პასიური სასწავლო პროცესის აქტიურ სასწავლო პროცესად გარდაქმნისათვის. იგი ფოკუსირებულია ისეთი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება. თუ შეტრიალებულ სასწავლო პროცესს ბლუმის ტაქსონომიის ჭრილში განვიხილავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეები დაბალი დონის (ცოდნა და გაგება) შესატყვის მოქმედებებს სკოლის გარეთ ახდენენ, ხოლო გაკვეთილზე მაღალი კოგნიტური უნარების განვითარება ხდება (გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება). გაკვეთილის ორგანიზების ყველაზე მისაღებ ფორმად წყვილებში მუშაობა ითვლება.

შეტრიალებული საკლასო ოთახი ცვლის როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების როლებს, მათ მოლოდინებს. მოსწავლეები უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთი სწავლის პროცესზე. ტრადიციული ლექციის ნაცვლად დროდადრო მათ საშუალება ეძლევათ ინფორმაცია ალტერნატიული გზებით მიიღონ და საგაკვეთილო დრო საინტერესო აქტივობებს დაუთმონ. ამ მეთოდით სწავლებისას მასწავლებელი ბუნებრივად ირგებს ფასილიტატორის და მოდერატორის როლს. იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, ისინი უფრო თამამად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, თანაკლასელების ან მასწავლებლის დახმარებით ძალდაუტანებლად ასწორებენ შეცდომებს, ახდენენ არასწორი წარმოდგენების რევიზიას, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამყარებულია მუდმივი უკუკავშირი, ხდება სხვადასხვა პედაგოგიური სტრატეგიების ეფექტური გამოყენება.

შეტრიალებული სასწავლო პროცესის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია ტექნოლოგიები, რომელიც მრავალმხრივ შეიძლება იქნეს გამოყენებული. მოსწავლეები მათი დახმარებით ხდებიან უფრო თავდაჯერებულები, უკეთ განსაზღვრავენ სწავლის მათთვის ყველაზე სასურველ ხერხს (მაგ; ლექცია, კითხვა, ინტერაქტიური მულტიმედია). ეცნობიან რა სასწავლო მასალებს სხვადასხვა ფორმატში, შეუძლიათ უკეთ მიუსადაგონ სწავლის მათთვის სასურველ სტილს (მაგ. ტექსტი, ვიდეო, აუდიო, მულტიმედია). შეტრიალებული სწავლება საკლასო ოთახში ქმნის შესანიშნავ შესაძლებლობებს დისკუსიებისა და ინტერაქციისათვის. შესაძლებელი ხდება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მონაცემების უფრო სრულყოფილად დაფიქსირება, მოსახერხებელია მათი პროგრესის ანალიზის ჩასატარებლად, ის აგრეთვე ახდენს რისკის ჯგუფში არსებული მოსწავლეების იდენტიფიკაციას. შეტრიალებული სასწავლო პროცესი თავიდან განსაკუთრებით პოპულარული ჰუმანიტარულ საგნებში გახდა. მოგვიანებით მისი აქტიურად გამოყენება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებშიც აქტიურად დაიწყეს.

მეთოდის ავტორებმა იმაზეც იზრუნეს, რომ მოსწავლეები გაკვეთილისათვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ, რათა საკლასო დრო მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამისათვის მათ შექმნეს სპეციალური ფორმები (სამუშაო ფურცლები), რომელთა დახმარებით მოსწავლეები ახალი მასალის პრიორიტეტულ საკითხებს შეისწავლიან (კითხვებზე პასუხის გაცემა, პრობლემების გამოკვეთა და სხვა). თეორეტიკოსები იზიარებენ მოსაზრებას, რომ სწავლების შეტრიალება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო, თუ მოსწავლეები წინასწარ საფუძვლიანად მოემზადებიან.

შეტრიალებული საკლასო ოთახის თეორეტიკოსები ჯონ ბრენსფორდი, ენ ბრაუნი, როდნი კოკინგი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში "როგორ სწავლობენ ადამიანები" ასახელებენ სწავლა-სწავლების მეცნიერების სამ მთავარ მიმართულებას. "იმისათვის რომ მოსწავლეებს კვლევის უნარი განუვითარდეთ საჭიროა:

ა) ფაქტობრივი მასალის საფუძვლიანი ცოდნა;

ბ) ფაქტებისა და იდეების გაგება კონტექსტში;

გ) ცოდნის ორგანიზების ისეთი უნარი, რომელიც განაპირობებს მის ტრანსფორმაციას და შემდგომში გამოყენებას".

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ შეტრიალებული საკლასო ოთახი კარგად პასუხობს ამ ამოცანებს. მოსწავლეები ეფექტურად იყენებენ ახალ ფაქტობრივ ცოდნას, ახერხებენ სწრაფი უკუკავშირის მიღებას თანაკლასელებისა და მასწავლებლისგან, ძალდაუტანებლად ახდენენ მცდარი წარმოდგენების შეცვლას და საბოლოო ჯამში ახდენენ ცოდნის ისეთი ფორმით ორგანიზებას, როგორსაც სამომავლოდ ეფექტურად გამოიყენებენ. ამასთანავე შეტრიალებული საკლასო ოთახი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზრონ საკუთარი შესაძლებლობები, ირწმუნონ თავიანთი ძალები. ბრანსფორდი და მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ "ამგვარი მეტაკოგნიტური მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს სასწავლო პროცესის კონტროლში. ისინი ახერხებენ უკეთ დაისახონ სასწავლო ამოცანები, მონიტორინგი გაუწიონ თავიანთ პროგრესს, მიაღწიონ დასახულ მიზნებს". დაბოლოს, დასკვნის სახით მოკლედ ჩამოვთვლით შეტრიალებული სასწავლო პროცესის მთავარ მიმართულებებს :

· რადგან ახალ მასალას სახლში ეცნობიან, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ თავად გააკეთონ პირველი აღმოჩენები;

· ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეების პასუხისმგებლობას ამაღლებს, ეხმარება მათ სასწავლო პროცესისათვის სათანადოდ მოსამზადებლად;

. ქმნის მექანიზმს მოსწავლეების გაგების შესაფასებლად;

· აწარმოებს საკლასო აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია მაღალ სააზროვნო უნარებზე.

ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში ჩვენ ვიცნობთ ხუთ ძირითად აქტივობას და ესენია:

1. ზეპირსიტყვიერი - აქ მოიაზრება ვერბალური კომუნიკაცია ლექციის, სემინარის, დისკუსიის და სხვა სახით.

2. თვალსაჩინოების მეთოდი - თვალსაჩინოების მეთოდი საკამოდ აქტუალურია, რადგან ვიზუალური დემონსტრირება შესასწავლი თემის, უფრო მეტ ინტერესსა და მოტივაციას უჩენს მოსწავლეებს.

3. წიგნზე მუშაობის მეთოდი - ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, რომ მოსწავლეები მივაჩვიოთ წიგნთან ურთიერთობას, ისინი სხვადასხვა დავალებების (ფაქტების ამოწერა და შედარება, ისტორიული მასალების გაცნობა სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან და სხვა) შესრულებისას იძენენ ახალ ცოდნას დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.

4. პრაქტიკული - სწავლების პრაქტიკული მეთოდი აქტუალურია ნებისმიერი საგნის წარმართვისას, რადგან სწავლება ხორციელდება ქმედებით, ქმედება კი ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე, რასაც მოსწავლეები ახერხებენ: რეფერატების, პრეზენტაციების, პროექტების და სხვა სახის აქტივობების მეშვეობით.

5. ვიდეო მეთოდი - ამ უკანასკნელს ხშირად მიმართავენ პედაგოგები, რადგან ვიდეო მასალების, თემის შესწავლისას სხვადასხვა კომპიუტერული ხელსაწყოების ჩართვით, ამრავალფეროვნებენ საგაკვეთილო პროცესს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისევე როგორც სხვა საგნების შემთხვევაში, მათ შორის ისტორიის შესწავლის დროს, შესაძლებელია ამ მეთოდების როგორც ცალკე, ისე ერთდროულად გამოყენება რამდენიმესი ერთად. ეს ყოველივე დამოკიდებულია სასწავლო თემაზე, მისი მოსწავლეებამდე გადაცემის ხერხებსა და პედაგოგის კრეატიულობაზე.

კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, რომ მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს ნებისმიერ აქტივობას, გამოიყენოს მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც მისთვის არის მოსახერხებელი, შეიტანოს მათში ცვლილებები და ა.შ. თავდაპირველად აუცილებელია მოსწავლეებმა ტექსტი წაიკითხონ, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში სახელმძღვანელოს ტექსტთან და ისტორიულ წყაროსთან ერთად შეიძლება კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურაც იყოს. სასურველია, ეს იყოს მომცრო ზომის ნახატებიანი წიგნი. შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ამ პიროვნების ირგვლივ განსახილველი საკითხების ჩამონათვალს შეადგენენ. მათში ყურადღება გამახვილებული იქნება, ერთი მხრივ, ისტორიულ გარემოებებზე, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიული პერსონის პიროვნულ ღირსებებსა და ხასიათის თვისებებზე. საბოლოოდ მოსწავლეები შეძენილ ცოდნას რამდენიმე აქტივობაში გამოიყენებენ.

ნესტან გოგოხია,
სსიპ გენო ადამის სახელობის ქალაქ
სენაკის №1 საჯარო სკოლის
საზოგადოებრივი საგნების უფროსი
მასწავლებელი

მეგა 2023-ის გამარჯვებული

ქორეოგრაფ ზვიად გვასალიას უპირველესი თვისება არის პროფესიის სიყვარული და პასუხისმგებლობა იმ თაობების წინაშე, რომლებსაც ის აზიარებს ცეკვის ხელოვნებას.

უფროს თაობას კარგად ახსოვს მისი შესრულებული ცეკვა ,,ქართული", მაშინ ცხაკაიას ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი გაახლდათ. წყვილთა რომანტიკული ცეკვა მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

იდეა, თავად ჩამოეყალიბებინა ქორეოგრაფიული ანსამბლი 1996 წელს გაუჩნდა. ამ წლიდან მოყოლებული განვლო რთული და წინააღმდეგობრივი გზა. ამჟამად ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" ხელმძღვანელია, რომელიც სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, ჩვენი თანაქალაქელის შალვა(ჯამუ)გარუჩავას სახელს ატარებს. ანსამბლ ,,კუჩხიბედინერში" დაარსებიდან დღემდე 6 ათასზე მეტი მოზარდი და ახალგაზრდა ეზიარა ცეკვის ამამაღლებელ მადლს. მის აღზრდილთაგან იყვნენ წარმატებულები, რომლებმაც პროფესიად ქორეოგრაფია აირჩიეს, დღეს აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლისა და ანსამბლ ,,სუხიშვილების" მოცეკვავეები არიან.

აღიარება და დაფასება თავისთავად არ მოსულა. ქორეოგრაფიას დიდი შრომა და ჯაფა სჭირდება. ანსამბლის არქივი პატარა მუზეუმს მოგაგონებთ, სადაც ინახება მრავალი სიგელი, მადლობის წერილი, საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის, ფოლკლორის ფესტივალის, საქართველოს ბავშვთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალ-კონკურსის პრიზები, რეგიონის ცნობილი ქორეოგრაფების ფოტომასალა.

ზვიად გვასალია დაჯილდოებულია ,,ხელოვნების ამაგდარის", ,,ქართული ხალხური ცეკვის ქომაგის" ტიტულებით, ,,ბრწყინვალების ორდენით", ახლახან ხელოვნების და კულტურის აკადემიის ცერემონიალის მეგა-2023-ის გამარჯვებული გახდა.

ზვიად გვასალიას დაფუძნებულია ფესტივალ-კონკურსი ,,კუჩხიბედინერი", რომელშიც სხვადასხვა რეგიონის და მუნიციპალიტეტის საბავშვო და ახალგაზრდული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ფესტივალი ყოველწლიურად იმართება და სახალხო დღესასწაულის სახეს იღებს.

სტუდიაში ბავშვების მიღება 5 წლის ასაკიდან იწყება, სწავლა ხუთწლიანია. ანსამბლ ,,კუჩხიბედინერში" ახალგაზრდები ეუფლებიან ცეკვის ხელოვნებას-ქართული ცეკვის თითოეულ ილეთსა და მოძრაობას თავისი შინაარსი გააჩნია. ცეკვასთან ერთად ახალგაზრდები საქართველოს ისტორიას სწავლობენ, რადგან კომპოზიციაში გაერთიანებულია სხვადასხვა კუთხის ხასიათი, ზნე-ჩვეულებები-ამბობს ბატონი ზვიადი.

ზვიად გვასალიას ახლო მეგობრული კავშირი აქვს ისრაელში მცხოვრებ დავით ეფრემაშვილთან, რომელიც ანსამბლ ,,შალვას" ხელმძღვანელია. დღეს თავისუფლებისათვის იბრძვის ფრონტის ხაზზე მისი ორი ვაჟი. დროდადრო ეხმიანება ზვიადი მეგობარს, ამხნევებს და გამარჯვებას უსურვებს ქვეყანას სამართლიან ბრძოლაში. ჩვენი რესპონდენტი დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს სენაკის საზოგადოებას, მოსწავლეებს, მშობლებს, უსურვებს ბედნიერ და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას.

რედაქციის სახელით ვულოცავთ ბატონ ზვიად გვასალიას მეგა-2023 -ში გამარჯვებას, ,,ქორეო მეგას" ტიტულს, საახალწლო სურვილის -ჰქონდეს სტუდიისათვის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა-ასრულებას, პირად ბედნიერებას, დაოჯახებას და ბარაქას.

მედეა ბაღათურია

საუკეთესო პრაქტიკა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ მიმდინარე წლის 27 თებერვალს ხელი მოაწერა ევროკავშირის ინიციატივას მერები უკეთესი კლიმატნეიტრალური გარემოსათვის, რაც ითვალისწინებს 2030 წლამდე ატმოსფეროში მავნე აირების შემცირებას 30-35%-ით და შეუერთდა „მერების შეთანხმების" პროცესს. მერების შეთანხმების ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემუშავდა „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა". მერების შეთანხმება-აღმოსავლეთ ქვეყნებში გაერთიანებული არიან საქართველოს, მოლდოვას, ბელარუსიის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები. "ქალაქებისა და თემის განვითარების კოალიცია-ინტერაქციიის (ბელორუსია),"ეკობილისა" (აზერბაიჯანი) და გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია "დეას" (საქართველო) პროექტის

ფარგლებში "გააზიარე გამოცდილება" სასწავლო ვიზიტით ჯერ სენაკის მერიაში სტუმრებს წარვუდგინეთ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ენერგოეფექტური ღონისძიებები და ვაჩვენეთ დანერგილი ტექნოლოგიები, ხოლო შემდეგ სასწავლო ვიზიტით ბაქოში გავეცანი იქ დანერგილ პრაქტიკას. ვიზიტის ფარგლებში დავესწარით საშემოდგომო გადაბელვითი სამუშაოების შესრულების პროცესს, ნარჩენების სეპარირების და მობილობის საკითხებს. დავათვალიერეთ ნავთობის მოპოვების ადგილები. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაციები, რომელმაც დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა საქართველოში, კერძოდ სენაკის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ფარგლებში

განხორციელებულმა და დაგეგმილმა ენერგოეფექტური ტექნოლოგიებმა (ელექტრო მწყემსი და "ჭკვიანი" ენერგოეფექტური სკამი"), რომელიც გარემოსდაცვით ეკოლოგიური ასოციაცია "დეას" მიერ განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტში. ევროკავშირის ინიციატივა-მერების შეთანხმებას მიერთება არის შესაძლებლობა და გზა საერთაშორისო დონორების და სხვა ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდეს ფართომასშტაბიანი გარემოსდაცვითი და ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას, ეკონომიკის მდგრად განვითარებას. შეიქმნას მეტი მწვანე რეკრეაციული სივრცე ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების დასვენებისთვის და დაინერგოს ინოვაციური ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. პროცესი დაწყებულია და მუნიციპალიტეტი აუცილებლად შეასრულებს მერების შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებას, რაც მიმართულია ჩენი მოსახლეობის უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებისათვის. სასწავლო ვიზიტები კი საუკეთესო პრაქტიკაა, გავაზიაროთ და გადმოვიტანოთ წარმატებული პროექტები.

დალი ქაჩიბაია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნორჩი მხატვრების გამოფენა

8 დეკემბერს, მხატვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. გამოფენილი იყო ნორჩი მხატვრების 100-მდე ნამუშევარი, რომლებიც ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

ხელოვნების ცენტრის ინიციატივით სამხატვრო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეს, ევა კერძაიას, შიდა სასკოლო, მუნიციპალურ და რესპუბლიკურ გამოფენებში აქტიური მონაწილეობისათვის, სიგელი გადაეცა.

ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე, სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელი, მამუკა ბარქაია, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები ესწრებოდნენ.

სამხატვრო სკოლაში ღონისძიების დასრულების შემდეგ, სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგოგებმა, სახვითი ხელოვნების გალერეაში გადაინაცვლეს და იქ გამართულ ღონისძიებას დაესწრნენ, სადაც სამხატვრო სკოლის პედაგოგმა, კოვალი ხუნწარიამ, სახვითი ხელოვნების გალერეას საკუთარი 5 ნახატი საჩუქრად გადასცა.

ხელოვნების ცენტრი სამხატვრო სკოლის პედაგოგებს, ნორჩ მხატვრებს და ყველა ხელოვანს ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს და ვულოცავთ შემოქმედებით წარმატებებს

მ. შონია

მოგონება

ტელეკომპანია „ეგრისი"-28

დღეები რბიან და წლები წლებს მისდევს და ამ რბოლაცვლაში ცხოვრება წინ მიდის. არსებობის შეუქცევად კანონს ვერავინ არღვევს და ტელეკომპანია „ეგრისიც" ცხოვრების ორომტრიალში თავის გზას მყარად მიუყვება.

გაზეთ „კოლხეთის" შემოქმედებით კოლექტივი ვულოცავთ „ეგრისელებს" დაარსებიდან 28 წლისთავს. მრავალ საიუბილეო დღეს მეგობრებო.

,,კოლხეთელები"

მარიამ მაქაცარია

2018 წლის 20 დეკემბერს ციცქნა გოგო მარიამი მოევლინა სამყაროს, რომელმაც თავისი მოსვლით ზღვა სიყვარული, სიხარული, ბედნიერება მოიყოლა. სხვა სითბო, სხვა სული შთაბერა დედას... ოჯახს...

წლებმა ციცქნა გოგო ღიმილა გოგოდ აქცია, უკვე 5 წლისაა. ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ბედნიერი ბავშვობა და მომავალი მარიამს.

,,უცხოობაში რაა სიამე"?

ტკბილ-მწარე რეალობა

როცა ემიგრანტების ამბებს ისმენ, ხვდები, რომ არ არსებობს მხოლოდ ერთი მიზეზი უცხო ქვეყანაში გადახვწინს, თუმცა ბევრი მიზეზის პოვნა შეიძლება, რომლებიც წლები გროვდება და საბოლოოდ წასვლის გადაწყვეტილებით მთავრდება. ძირითადად მიდიან ამერიკაში, თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში...

იტალიაში წასულთა უმრავლესობა ქალია, ბევრი მათგანი არალეგალურად იმყოფება, მუშაობენ დიასახლისებად, მომვლელებად, დამლაგებლებად, ძალიან იშვიათად საკუთარი პროფესიით. უმეტესობას თვეში მხოლოდ ერთი თავისუფალი დღე აქვთ. ამ დღეს მეგობრების მოსანახულებლად, ოჯახებთან ფულის და გზავნილების გასაგზავნად იყენებენ. როდის გადაწყვიტეს ემიგრაციაში წასვლა და რა იყო ამის მიზეზი, ოჯახი როგორ შეეგუა ამ ფაქტს, ბავშვები უდედობას, როგორ იქარვებენ სამშობლოსგან შორს ყოფნის დარდს, როგორია სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივები? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრებიან გურანდა ადამია და ჟანა წურწუმია.

გურანდა ადამია პროფესიით იურისტია. – „ცხოვრება ხშირად გვაყენებს არჩევანის წინაშე. გადაწყვეტილების მიღება არ არის მარტივი. როცა ირჩევ იმას, რაც ყველაზე მიუღებელია. ზოგჯერ დგამ ნაბიჯს, რომელსაც გეგონა, რომ არასოდეს გადადგამდი. ბევრი ფიქრი დამჭირდა მიმეღო გადაწყვეტილება ჩემი ქვეყნის და ჩემი ოჯახის დატოვებისა. ვიაზრებდი ყველაფერს და ძალიან მტკიოდა. ვტოვებდი იმას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის და სიკვდილის ტოლფასი მეგონა მოსალოდნელი განშორება. ჩემი ემიგრაციაში წასვლა განაპირობა იმან, რომ შვილებისთვის უკეთესი მომავალი შემექმნა და ჩემს ოჯახს უკეთესად ეცხოვრა.

მეექვსე წელია რაც შევუერთდი ემიგრანტების მრავალათასიან ,,არმიას".

იტალიაში დაიწყო ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდი. ყველაფერი უცხო და უჩვეულო იყო ჩემთვის. ყოველი დღე-ცივი და ცარიელი. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს ოჯახისა და სამშობლოსგან შორს ყოფნა. დღე არ გასულა, მათზე არ მეფიქრა. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ათასობით კილომეტრს იქით მელოდება მონატრებული ოჯახი.

ოჯახისთვის ყოველთვის რთულია როცა ოჯახის წევრი მიდის შორს, განუსაზღვრელი დროით, თუნდაც ოჯახის კეთილდღეობისათვის. განსაკუთრებით რთულია შვილებისათვის, ისინი ხომ ყველაზე მეტად განიცდიან უდედობას. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, როცა მათ თვალებში სევდას ვხედავ. ვცდილობ შვილებთან მაქსიმალურად მეტი სიახლოვე მქონდეს, მათი ყოველდღიური ცხოვრების დეტალები არ გამომეპაროს. ყოველ დღე ვეკონტაქტებით ერთმანეთს, ახლა უკვე დიდები არიან და უფრო ახერხებენ თავიანთი გრძნობების და შეხედულებების გამოხატვას. გვაქვს გეგმები და საერთო ინტერესები. იციან, რომ ცოტა დრო დარჩა ჩემსა და მათ შორის მანძილის დასამოკლებლად და ისევ ერთად ვიქნებით.

დასვენების დღეებში ქართველები ვხვდებით ერთმანეთს, გავდივართ ქალაქგარეთ და ვათვალიერებთ ისტორიულ ძეგლებს. როცა ამის შესაძლებლობა გვაქვს. ჩვეულებრივ ვიკრიბებით, ვშლით ქართულ სუფრას, ვუსმენთ ქართულ სიმღერებს. ვართ როგორც ერთი ოჯახი ერთმანეთის სიხარულისა და სევდის თანამოზიარეები. ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს.

ახლა იტალიაში წინასაახალწლო მზადებაა, იტალიელებს გამორჩეულად უყვართ შობა-ახალი წელი. ისინი ორი თვით ადრე ემზადებიან, რთავენ ნაძვის ხეს, ქუჩებს, ხეებს,

შენობებს. ყველაფერი ბრწყინავს. ტრადიციულად, შობა - ახალი წელი ასოცირდება ახალი სიცოცხლის დასაწყისთან. საახალწლო სუფრის ნუგბარია "პასკა", თითოეული იტალიელის ოჯახში ნაძვის ხის ქვეშ იდება საჩუქრები ოჯახის წევრებისა და უახლოესი მეგობრებისთვის. გული მწყდება, რომ იგივეს ვერ ვაკეთებ ჩემი ოჯახისთვის.

ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნებაა სამშობლოში დაბრუნება, ისეთ სამშობლოში, სადაც არცერთ დედას არ დასჭირდება ემიგრაციაში წასვლა და შვილების დატოვება.

მინდა კარს მომდგარი შობა ახალი წელი მივულოცო ჩემს ოჯახს, ჩემს სენაკელებს, სრულიად საქართველოს. ვისურვებდი, რომ დამდეგი 2024 წელი იყოს დღეგრძელობის, სიკეთით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი.

ჟანა წურწუმია - ქალ-ვაჟი მყავს, გუკა ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს საინჟინროზე, ლიკა კი სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის წარმატებული სტუდენტია. როცა ოჯახში ორი სტუდენტი გყავს, ძალიან რთულია. ეს გახდა მიზეზი მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში წამოვსულიყავი. ჩვენი უპირველესი მიზანია ხელი შევუწყოთ შვილებს.

მეორე წელია რაც იტალიაში ვარ. ძალიან რთული ყოფილა სამშობლოდან, ოჯახიდან შორს ყოფნა, უცხო გარემოსთან შეგუება. ყველას არ უმართლებს ერთნაირად, ზოგი კარგ ოჯახში ხვდება, ზოგი პირიქით. ვერ ვიტყვი რომ ძალიან კარგ ოჯახში ვარ, მაგრამ სხვა გზა არაა, ან უძლებ, ან უყველაფროდ ბრუნდები საქართველოში. ჩემი შვილები პატარები არ არიან, მაგრამ დღემდე ვერ ეგუებიან უჩემობას. განიცდიან. სულ მეუბნებიან: დეე ჩამოდი. აქ ერთად გამოგვივა რამე.

აქ ცხოვრებამ მასწავლა... რომ უნდა ვიყო ძლიერი, არ უნდა დავნებდე, ისევ და ისევ ჩემი ოჯახის და შვილების საკეთილდღეოდ. ყველაზე მთავარი, რაც ემიგრანტობამ შემძინა, არის უამრავი საუკეთესო მეგობარი, ისინი ყველა ტკივილს მავიწყებენ. მენატრება ჩემო ოჯახი, ჩემი საყვარელი უბანი, ქალაქი. მაწუხებს ... დედის გარეშე გაზრდილი შვილების მომავალი.

შორიდან თითქოს არაფერი გვეტყობა, ისე კი არავინ არ იცის, რა ტკივილსა და სევდას დაატარებს თითოეული დედის გული. უფალს ვთხოვ მშვიდობას.

მინდა დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ჩემს ოჯახს, სრულიად საქართველოს. ბედნიერება, ხვავი და ბარაქა მოეტანოს 2024 წელს.

P.S. უამრავ ჩვენს თანამემამულეს. რომლებიც უცხოეთში თავდაუზოგავად შრომობენ, სამშობლოს, ოჯახის უსაშველო მონატრება აწუხებთ, სულით, გულით აქეთკენ ისწრაფვიან. გვინდა მოვეფეროთ, დამდეგი ახალი წელი მივულოცოთ და გამძლეობა, მიზნების ასრულება და შინ მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ.

მაია გერგაია

კვალი ნათელი

რევაზ გაგულაშვილი

უფროსი თაობის ადამიანებს, და არა მარტო მათ, ახსოვთ რევაზ გაგულაშვილი, უღალატო მეგობარი, მისაბაძი ოჯახის თავკაცი, საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელი, მშობლიური ქალაქის მოყვარული, მუდამ ღიმილიანი, აღსავსე ხალასი იუმორით. ის იყო ერუდიციით, პროფესიონალიზმით, სამსაურებრივი პოზიციით გამორჩეული მამის, გაზეთ „კოლხეთის" ერთ-ერთი ჟურნალისტის - მორდეხ გაგულაშვილის ვაჟი. რადგან რევაზი ,,კოლხეთელთა" დიდი ოჯახის შთამომავალი იყო, რედაქციასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან ჩვენი რედაქტორის (თ. კანკიას) მეგობარი იყო და ხშირად გვსტუმრობდა. ძალიან ხალასი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მუდამ მზად იყო თანადგომისათვის. არა ერთხელ გვისაუბრია მამის ჟურნალისტურ ცხოვრებაზეც

ის იყო საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, ჰქონდა მდიდარი შრომითი ბიოგრაფია, რაც მთავარია კარგი კაცის სახელი.

3 წლის წინ, დეკემბერში გარდაიცვალა, კოვიდპანდემიის დროს.

ასეთი ადამიანები აკლდებიან არა მარტო ოჯახს, არამედ საზოგადოებასაც.

„კოლხეთელები"

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ საბა ოდიშარიას ბაბუის

ჯუანშერ ოდიშარიას

გარდაცვალების გამო.

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

4-5 დეკემბერს, ქალაქ თბილისში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონის, მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სენაკელმა მოჭიდავემ, გიორგი ქვარცხავამ 80 კგ.წონით კატეგორიაში 17-წლამდე სპორტსმენებს შორის, მესამე ადგილი დაიკავა. გიორგი არის საქართველოს ნაკრების წევრი, საქართველოს ორგზის ვიცე ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ვიცე- ჩემპიონი. მწვრთნელ-მასწავლებელია რამაზ კოკაია.

ვულოცავთ ჩვენს სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ქართული ჭიდაობა

2 დეკემბერს, სენაკის სპორტის სასახლეში ჩატარდა, ბეჭდაუდებელი ფალავანის, ნესტორ ესებუას სახელობის ღია ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, აბაშის და სამტრედიის სპორტსმენებმა.

ტურნირში მონაწილეობდნენ- 2009, 2010, 2007, 2008 წლებში დაბადებული ვაჟები და 2008-2010 წლებში დაბადებული გოგონები.

წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა.

პირველი ადგილები დაიკავეს- ალექსი გულუამ 45კგ. ცოტნე ჩიქობავამ 55კგ., ილია გარუჩავამ 50კგ., მარი ფარულავამ 50კგ. და ბარბარე კუპრეიშვილმა 45კგ. მეორე ადგილზე გავიდნენ -მია გოგოლი 50კგ. და ქეთი ბუსკაძე45კგ. მესამე ადგილი კი წილად ხვდათ-საბა ფარულავას 65კგ. და ზუკა ასათიანს 65+(მძიმე წონაში).

გუნდურ შეჯიბრში ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს, პირველი ადგილი. მწვრთნელ-მასწავლებლები, გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა.

კრივი

19 ნოემბერს, სენაკის სპორტის სასახლეში, დასრულდა სენაკელი სპორტსმენის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ევროპის ორგზის პრიზიორის, მსოფლიო და პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილის, კახაბერ ჟვანიას სახელობის ღია ტურნირი კრივში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, სენაკის, ფოთის, გორის, ჭიათურის, ქუთაისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ხობის, მესტიის, ახალქალაქის და ბათუმის 2010-2011 წლებში დაბადებულმა ჭაბუკმა მოკრივეებმა.

პირველი ადგილი დაიკავა და ტურნირის გამარჯვებული გახდა -

ლევან თეფანია. მეორე ადგილები დაიკავეს: რატი ხარბედიამ, გიორგი სამუშიამ, ალექსი გუნიამ და გიორგი ცაავამ. მესამე ადგილზე კი - გიორგი ხოფერია და თამაზ ჯიქია გავიდნენ.

მწვრთნელ-მასწავლებლები: ზაზა ხურცილავა, ილია ცაავა და გიორგი კემულარია.

ფინალურ შეხვედრებს ესწრებოდნენ: კრივის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, გიორგი ჭოჭუა, საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, ზურაბ ტიბუა,

იმერეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ირაკლი გვენეტაძე, სვანეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, შოთა გულედანი, სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორი, ჯუმბერ ლაშქარავა, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში, მამუკა ბაბილუა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ევროპის ორგზის პრიზიორის, მსოფლიო და პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილის კახაბერ ჟვანიას მშობლები, სპორტული სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

მოკრივე ჭაბუკებს და მათ მწვრთნელებს ვულოცავთ მოპოვებულ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

ძიუდო

26-27 ნოემბერს, ქალაქ რუსთავში დასრულდა ევროპის ორგზის და ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის, ბადრი ყავლაშვილის სახელობის მე-16 ტურნირი ძიუდოში,

2009 - 2010 წელს დაბადებულთა შორის.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ძიუდოისტებმა.

პირველი ადგილი, 46 კგ.წონით კატეგორიაში, ალექსი გულუამ დაიკავა. მესამე ადგილზე, 50კგ. წონით კატეგორიაში, ილია გარუჩავა გავიდა.

მწვრთნელ-მასწავლებლები: გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა.

ვულოცავთ სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ირინე გაგუა.

სენაკის სასპორტო გაერთიანების

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბალთარია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499